საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

№ 01-10/1600

"02" აპრილი 2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

"კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ №395 კონკურსის შედეგებსა და თანდართულ დოკუმენტებს, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

პატივისცემით,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ს. მოწყობილი

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119
ტელ: (04 22) 27 35 10;
ფაქსი: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

6018, 119 Komakhidze str., Batumi, Georgia
Tel.: (04 22) 27 35 10;
Fax: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სატენდერო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 4

ქ. ბათუმი 2 აპრილი 2012 წ.

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე - სულხან მოწყობილი.

**სხდომას ესწრებოდნენ:** კომისიის წევრი - ნუგზარ ძნელაძე.

კომისიის მდივანი - გელა ცინცაძე.

კომისიის წევრები: თამაზ წულაძე, სულხან მამუჭაძე, ნუგზარ ცინცაძე.

**დღის წესრიგი:** ქალაქ ბათუმში, ელიავას ქუჩა №4-ში (საკ.კოდი 05.21.25.002) მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული ფართის რეკონსტრუქციის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურებისა და ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩა №8-ში (საკ.კოდი 05.21.25.004) მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული ფართის რეკონსტრუქციის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ **№ 395 კონკურსის შედეგების განხილვა.**

**მოისმინეს:** ნუგზარ ძნელაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა – შ.პ.ს „კონსტრუქტორი 21"-მა.

კომისიამ განიხილა შ.პ.ს „კონსტრუქტორი 21"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები.
- ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ.
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ფასების ცხრილი.

საკონკურსო წინადადების განხილვისას აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიის მიერ დამტკიცებულ საკონკურსო განცხადების მე-14 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ:

1) არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ. 2) არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერის შესახებ.

**დაადგინეს**: 1. შპს „კონსტრუქტორი 21"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს.

2. ქალაქ ბათუმში, ელიავას ქუჩა №4-ში (საკ.კოდი 05.21.25.002) მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული ფართის რეკონსტრუქციის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურებისა და ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩა №8-ში (საკ.კოდი 05.21.25.004) მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული ფართის რეკონსტრუქციის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული **№ 395** კონკურსი ჩაითვალოს დასრულებულად უარყოფითი შედეგით.

3) აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს კონკურსანტს.

კომისიის თავმჯდომარე : _____________ /ს. მოწყობილი/

კომისიის წევრი: _____________ /ნ. ძნელაძე/

კომისიის მდივანი: _____________ /გ. ცინცაძე/

კომისიის წევრები: _____________ /თ. წულაძე/

_____________ /ს. მამუჭაძე/

_____________ /ნ. ცინცაძე/

# ხელწერილი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2012 წლის 27 მარტს გამოცხადებულ №395 კონკურსის მეშვეობით, არქიტექტორულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის თავმჯდომარე: ______________ /ს. მოწყობილი/

კომისიის წევრი: ______________ /ნ. ძნელაძე/

კომისიის მდივანი: ______________ /გ. ცინცაძე/

კომისიის წევრები: ______________ /თ. წულაძე/

______________ /ს. მამუჭაძე/

______________ /ნ. ცინცაძე/

2 აპრილი 2012 წელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

№ 01-10/1599

"02" აპრილი 2012 წ.

შპს „კონსტრუქტორი 21"-ის
დირექტორს ბეგლარ კახიძეს

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2012 წლის 27 მარტს არქიტექტორულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული № 395 კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

პატივისცემით,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ს. მოწყობილი

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119
ტელ: (04 22) 27 35 10;
ფაქსი: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

6018, 119 Komakhidze str., Batumi, Georgia
Tel.: (04 22) 27 35 10;
Fax: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge